

I. არჩევითბოლოიანი დავალება

ინსტრუქცია

თითოეულ კითხვაზე მოცემულია ოთხი სავარაუდო პასუხი. მათგან მხოლოდ ერთია სწორი. პასუხების ფურცელში უნდა მონიშნოთ არჩეული პასუხის შესაბამისი უჯრა. თქვენ მიერ არჩეული პასუხის მონიშვნის ერთადერთი გზა პასუხების სათანადო უჯრაში X ნიშნის დასმაა. არცერთი სხვა აღნიშვნა, ჰორიზონტალური თუ ვერტიკალური ხაზები, შემოხაზვა და ა.შ. ელექტრონული პროგრამის მიერ არ აღიქმება; თუ გსურთ პასუხების ფურცელზე მონიშნული პასუხის გადასწორება, მთლიანად გააფერადეთ უჯრა, რომელშიც დასვით X ნიშანი, და შემდეგ მონიშნეთ პასუხის ახალი ვარიანტი (დასვით X ნიშანი ახალ უჯრაში). შეუძლებელია ხელმეორედ აირჩიოთ ის პასუხი, რომელიც გადაასწორეთ. თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება.

1. საქართველოს მოქმედი კონსტიტუციის თანახმად, საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკური წესწყობილების ფორმა და სახელმწიფოს სახელწოდებაა:
 - ა. დემოკრატიული რესპუბლიკა, სახელწოდება - საქართველოს რესპუბლიკა
 - ბ. დემოკრატიული რესპუბლიკა, სახელწოდება - საქართველო
 - გ. კონსტიტუციური რესპუბლიკა, სახელწოდება - საქართველოს რესპუბლიკა
 - დ. ფედერაციული რესპუბლიკა, სახელწოდება - საქართველო

2. რომელ საკითხზე ჩატარდა საქართველოს 2003 წლის 2 ნოემბრის რეფერენდუმი?
 - ა. პარლამენტის წევრთა უფლებამოსილების გაზრდა
 - ბ. პარლამენტის წევრთა რაოდენობის შემცირება 150 დეპუტატამდე
 - გ. პარლამენტის წევრთათვის იმუნიტეტის მოხსნა
 - დ. პარლამენტის წევრთა რაოდენობის გაზრდა 235 დეპუტატამდე

3. როგორია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ფორმირების წესი?
 - ა. თანაბრად მონაწილეობს პრეზიდენტი, პარლამენტი და უზენაესი სასამართლო
 - ბ. ნიშნავს პრეზიდენტი და ამტკიცებს პარლამენტი
 - გ. არათანაბრად მონაწილეობს ხელისუფლების სამივე შტო
 - დ. ნიშნავს უზენაესი სასამართლო და ამტკიცებს პარლამენტი


4. რამდენ ლარს შეადგენდა საქართველოს 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი?
- ა. 500 მილიონიდან - 800 მილიონამდე
 - ბ. 1 მილიარდიდან-4 მილიარდამდე
 - გ. 4 მილიარდიდან- 9 მილიარდამდე
 - დ. 9 მილიარდიდან -14 მილიარდამდე
5. რომელი საერთაშორისო ორგანიზაციის სრულუფლებიანი წევრია საქართველო?
- ა. ევროკავშირი
 - ბ. ევროსაბჭო
 - გ. ოპეკი
 - დ. ნატო
6. რომელი საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე შეიქმნა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო?
- ა. ევროპის სოციალური ქარტია
 - ბ. ადამიანის უფლებების საერთაშორისო ბილი
 - გ. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია
 - დ. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია
7. საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის (სჰს) შესახებ მსჯელობებიდან რომელი არ არის მართებული?
- ა. სჰს გამოიყენება შეიარაღებული კონფლიქტის დროს
 - ბ. სჰს აწესებს კონფლიქტისა და სტიქიური უბედურებების დროს ჰუმანიტარული დახმარების ნორმებს
 - გ. სჰს ზღუდავს მეომარ მხარეებს ბრძოლის მეთოდებში, საშუალებებსა და მიზნებში
 - დ. სჰს იცავს პირებს, რომლებიც არ მონაწილეობენ საომარ ვითარებაში

8. რომელი ნიშანი არ აბასიათებს სამართლებრივ სახელმწიფოს?

- ა. კანონის უზენაესობის აღიარება მხოლოდ გარკვეული ჯგუფების მიერ
- ბ. მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა
- გ. სახელმწიფო ხელისუფლებათა გამიჯვნა
- დ. ხელისუფლების გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება

9. ჩამოთვლილთაგან რომელი უნდა ეწეროს მოცემული სქემის სათაურისათვის განკუთვნილ ცარიელ უჯრაში?

- ა. საზოგადოებრივი კონფლიქტის ტიპები
- ბ. კონფლიქტის დარეგულირების ეტაპები
- გ. კონფლიქტის კვლევის მეთოდები
- დ. კონფლიქტის გადაჭრის გზები



10. სახელმწიფოს „ეკონომიკური ზრდა“ ნიშნავს დროის გარკვეულ მონაკვეთში:

- ა. წარმოებული საქონლის საბაზრო ღირებულების ზრდას
- ბ. მოქალაქეთა მიერ წარმოებული მომსახურების საბაზრო ღირებულების ზრდას
- გ. რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდას მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით
- დ. ფულის მასის მოცულობის ზრდას

11. რომელი სამი მაჩვენებელი გამოიყენება ჰუმანური განვითარების ინდექსის გამოსათვლელად?

- ა. მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე, ჩვილთა მოკვდაობა, ურბანიზაციის დონე
- ბ. მთლიანი ეროვნული შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე, სამედიცინო მომსახურების დონე, უმუშევრობის დონე
- გ. მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე, სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა, დამნაშავეობის დონე
- დ. მთლიანი ეროვნული შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე, სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა, განათლების დონე

12. რა განსხვავებაა ლტოლვილსა და დევნილს შორის?

- ა. ლტოლვილი საკუთარი ქვეყნის ფარგლებს გარეთ იძულებით გადაადგილებული პირია, ხოლო დევნილი - საკუთარი ქვეყნის ფარგლებში
- ბ. ლტოლვილი უცხოური ოკუპაციის შედეგად იძულებით გადაადგილებული პირია, ხოლო დევნილი - შიდა კონფლიქტის შედეგად
- გ. ლტოლვილი საკუთარი ქვეყნის შიგნით იძულებით გადაადგილებული პირია, ხოლო დევნილი - საკუთარი ქვეყნის ფარგლებს გარეთ
- დ. ლტოლვილი შიდა კონფლიქტის მსხვერპლია, ხოლო დევნილი - უცხოური ოკუპაციის შედეგად იძულებით გადაადგილებული პირი

13. რა განსხვავებაა სქესსა და გენდერს შორის?

- ა. სქესის შეცვლა შესაძლებელია, გენდერი არ იცვლება
- ბ. სქესი განაპირობებს ქალურ და მამაკაცურ თვისებებს, გენდერი - ქალისა და მამაკაცის როლებს
- გ. სქესი ქალსა და მამაკაცს შორის ანატომიურ განსხვავებას აღნიშნავს, გენდერი - მხოლოდ გრამატიკულ სქესს
- დ. სქესი ქალსა და მამაკაცს შორის არსებულ ბიოლოგიურ განსხვავებას აღნიშნავს, გენდერი - სოციალურს

II. შესაბამისობის დადგენა

ინსტრუქცია

დავალებაში მოცემულია ორი სვეტი, ორი სხვადასხვა ტიპის ჩამონათვალი. დაადგინეთ ამ ორ სვეტში წარმოდგენილ ინფორმაციას შორის შესაბამისობა. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცელში მოცემულ ცხრილში (თითო ასოს ქვემოთ მიუწერეთ შესაბამისი ციფრი მაგ.: ა-ს - 1; ბ-ს - 4 და გ-ს -3). დავალების მაქსიმალური ქულაა 2.


14. კონკრეტული უფლება ან თავისუფლება შეუსაბამეთ ადამიანის უფლებათა კლასიფიკაციას:




I	II
<p>ა. თვითგამორკვევის უფლება</p> <p>ბ. განათლების უფლება</p> <p>გ. უდანაშაულობის პრეზუმფცია</p>	<p>1. სოციალური</p> <p>2. საპროცესო</p> <p>3. ეკონომიკური</p> <p>4. კოლექტიური</p>

15. I სვეტში მოცემულ სახელმწიფოსა და მოქალაქეთა უფლება - მოვალეობებს შეუსაბამეთ II სვეტში მოცემული ჩამონათვალი:

I	II
<p>ა. სამართლებრივი დავების განხილვა</p> <p>ბ. გადასახადის გადახდა</p> <p>გ. ქვეყნის მართვაში მოქალაქეთა მონაწილეობის უზრუნველყოფა</p>	<p>1. მოქალაქეთა უფლება</p> <p>2. სახელმწიფოს უფლება</p> <p>3. მოქალაქეთა მოვალეობა</p> <p>4. სახელმწიფოს მოვალეობა</p>

16. „თავისუფლების რუკა“ მსოფლიოში დემოკრატიის გავრცელებას ასახავს. ცხრილში მოცემული პოლიტიკური რეჟიმი შეუსაბამეთ ფერს, რომელიც რუკაზე შესაბამისი რეჟიმის მქონე ქვეყანას აღნიშნავს:



I	II
<p>ა. ლურჯი </p> <p>ბ. ყვითელი </p> <p>გ. მწვანე </p>	<ol style="list-style-type: none"> 1. ნაწილობრივ დემოკრატიული 2. პოსტდემოკრატიული 3. არადემოკრატიული 4. დემოკრატიული

17. სამოქალაქო ინიციატივები შეუსაბამეთ მათი განხორციელებისათვის საჭირო მოქალაქეთა რაოდენობას:

I	II
<p>ა. საკანონმდებლო ინიციატივა</p> <p>ბ. რეფერენდუმის დანიშვნის მოთხოვნა</p> <p>გ. პოლიტიკური გაერთიანების (პარტიის) დამფუძნებელი ყრილობის ჩატარება</p>	<p>1. არანაკლებ 300 ამომრჩეველი</p> <p>2. არანაკლებ 30 000 ამომრჩეველი</p> <p>3. არანაკლებ 100 000 ამომრჩეველი</p> <p>4. არანაკლებ 200 000 ამომრჩეველი</p>

III. თანმიმდევრობის დადგენა

ინსტრუქცია

დაალაგეთ დავალებაში მოცემული ჩამონათვალი მითითებული პრინციპის თანახმად. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცელში მოცემულ უჯრებში. გაითვალისწინეთ, რომ უჯრაში იწერება მხოლოდ არჩეული პასუხის შესაბამისი ციფრი. პირველი ან ბოლო პასუხი მითითებულია ცხრილში და მიგანიშნებთ თანმიმდევრობას. თითოეული დავალება ფასდება 1 ქულით.

18. დაალაგეთ სამართლებრივი აქტები საქართველოს ნორმატიულ აქტთა სისტემის იერარქიის შესაბამისად:

1. საქართველოს ორგანული კანონი
2. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულება და შეთანხმება
3. საქართველოს კონსტიტუცია
4. საქართველოს პარლამენტის დადგენილება

			4
--	--	--	---

19. დააღაგეთ საქართველოს მოქალაქის უფლებები მათი გამოყენების ასაკის შესაბამისად:

1. პრეზიდენტობის კანდიდატობა
2. მუშაობის უფლება მშობლების ნებართვით
3. ცენტრალური ხელისუფლების ორგანოებში მუშაობა
4. არჩევნებში მონაწილეობა

			1
--	--	--	---

20. მოცემულია კონფლიქტის განვითარების სხვადასხვა დონე. დააღაგეთ ისინი ე.წ. „ესკალაციის კიბის“ შესაბამისად:

1. უთანხმოება
2. ბრძოლა
3. მეტოქეობა
4. პრობლემაზე მუშაობა

4			
---	--	--	--

IV. ღია დაბოლოებიანი დავალება


ინსტრუქცია

ყურადღებით გაეცანით კითხვებს. გაითვალისწინეთ, რომ პასუხი უნდა იყოს კონკრეტული და ამომწურავი. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცელში დავალების შესაბამისი ნომრის გასწვრივ. დავალებები 1 ქულიდან 4 ქულამდე ფასდება.

(1) 21. როგორ აუხსნით მოსწავლეს, თუ რა განსხვავებაა ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს შორის?


(4) 22. დემოკრატიულ სახელმწიფოში ხელისუფლების ფორმირება არჩევნების გზით ხდება.

(1) 22.1 დაასრულეთ სქემა დემოკრატიული არჩევნების შესახებ. დაასახელეთ არჩევნების სამი უმთავრესი პრინციპი, რომელსაც დაამატებდით სქემას:



(3) 22.2 არჩევნები რამდენიმე წელიწადში ერთხელ ტარდება. რომელ სამ ძირითად მიზეზს დაუსახელებდით მოსწავლეს, არჩევნების პერიოდულობის აუცილებლობის საჩვენებლად?

(2) 23. მოსწავლეებს სქემაზე წარმოუდგინეთ მდგრადი განვითარება, როგორც სამი ურთიერთ-დაკავშირებული სფეროს გადაკვეთა.



(1) 23.1 რა უნდა ეწეროს სქემის ერთ-ერთ სფეროში კითხვის ნიშნის ნაცვლად?

(1) 23.2 აუხსენით მოსწავლეებს, რას ნიშნავს „მდგრადი განვითარება“.

V. შეცდომის შესწორება

ინსტრუქცია

ყურადღებით წაიკითხეთ მოსწავლის მიერ დაწერილი ტექსტები, რომლებშიც დაშვებულია ფაქტობრივი შეცდომები. თქვენ გევალება შეცდომების პოვნა და მათი შესწორება. პასუხების ფურცელში მოცემულ ცხრილში გადაიტანეთ ნაპოვნი ფაქტობრივი შეცდომა და მისი შესწორებული ვარიანტი. გაითვალისწინეთ, 1 ქულით შეფასდება ნაპოვნი შეცდომა მის შესწორებულ ვარიანტთან ერთად. თითოეული დავალება 7 ქულით ფასდება.

(7) 24. პარლამენტარიზმი საქართველოში

საქართველოში სამეფო ძალაუფლების შეზღუდვისა და პარლამენტის ტიპის ხელისუფლების შექმნის იდეა ჯერ კიდევ XIII საუკუნეში გაჩნდა, საფრანგეთში „თავისუფლების დიდი ქარტის“ მიღებამდე ცოტა ხნით ადრე.

1906 წლიდან ქართველებს რუსეთის საპარლამენტო ცხოვრებაში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა მიეცათ. სხვადასხვა დროს საქართველოდან წარგზავნილ დეპუტატთა შორის იყვნენ ნოე ჟორდანიას, ირაკლი წერეთელი, კარლო ჩხეიძე. ამავე დროს, რუსეთის სახელმწიფო საბჭოს წევრი იყო ქართული ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი აკაკი წერეთელი.

1918 წლის 26 მაისს, დამოუკიდებლობის გამოცხადებით, აღდგა საქართველოს გაუქმებული სახელმწიფოებრიობა. უკვე დამოუკიდებელ საქართველოში შეიქმნა არჩეული წარმომადგენლობითი ორგანო - დამფუძნებელი კრება, რომელმაც 1919 წელს პირველი ქართული კონსტიტუცია მიიღო. მალევე საქართველო დაიპყრო საბჭოთა რუსეთის წითელმა არმიამ და საქართველოში დამოუკიდებელი საპარლამენტო ხელისუფლება, ფაქტობრივად, ათეულობით წლის მანძილზე აღარ არსებობდა. 1991 წელს საქართველოში ჩატარდა მრავალპარტიული არჩევნები. არჩეულმა უზენაესმა საბჭომ საქართველოს დამოუკიდებლობა გამოაცხადა.

2010 წელს თანამედროვე ქართული პარლამენტარიზმის 20 წლისთავი აღინიშნა. დღეს საქართველოს უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოს ქვეყნის მოსახლეობა პროპორციული საარჩევნო სისტემით ირჩევს. პარლამენტის უფლებამოსილების ვადა ხუთი წელია.

(7) 25. განდი და არამალადობრივი წინააღმდეგობა

არამალადობა და მშვიდობიანობა სამოქალაქო დაუმორჩილებლობის მთავარი პრინციპია. სამოქალაქო დაუმორჩილებლობაში არამალადობა პირველად ინდირა განდიმ გამოიყენა, რაც მის ფილოსოფიაში, სატიაგრაჰში (სიმართლის ძალა) აისახა, რომლის მთავარი იდეა ჭეშმარიტების სიყვარულით და თანაგრძნობით მიიღწევა.

განდი ტიბეტის ეროვნული და სულიერი ლიდერი იყო და XIX საუკუნის დასაწყისში მოღვაწეობდა. მან თავისი მოღვაწეობის პირველი პერიოდი სამხრეთ აფრიკაში სქესობრივი დისკრიმინაციისა და უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლას მიუძღვნა. მშვიდობიანი წინააღმდეგობის მეთოდებით განდიმ მიაღწია თავისი ქვეყნის დამოუკიდებლობას ამერიკის კოლონიური მართვისაგან. თანამემამულეებმა მას „დიდი გული“ უწოდეს. განდი 78 წლის ასაკში არამალადობრივი სიკვდილით გარდაიცვალა. ძალადობის უარყოფის მისეულმა ფილოსოფიამ დიდი გავლენა იქონია ეროვნულსა თუ საერთაშორისო არამალადობრივი წინააღმდეგობის მოძრაობებზე.

VI. ზედმეტის ამოცნობა

ინსტრუქცია

დავალეზაში მოცემულია სხვადასხვაგვარი ჩამონათვალი: ტერმინები, მოვლენები, ისტორიული პირები, სიმბოლოები და ა.შ., აქვე მითითებულია, რომელია ამ ჩამონათვალში ზედმეტი. ახსენით, თუ რა ნიშნითაა იგი ზედმეტი (ძირითადი ჩამონათვალისათვის დამახასიათებელი რომელი ნიშანი არ ახასიათებს მას). დავალეზა 1 ქულით ფასდება.

26. მოცემულ ჩამონათვალში ზედმეტია ეკონომიკის სამინისტრო. როგორ აუხსნით მოსწავლეს, რა ნიშნითაა იგი ზედმეტი?

- ა. სახალხო დამცველი
- ბ. კონტროლის პალატა
- გ. ეკონომიკის სამინისტრო
- დ. ეროვნული ბანკი

27. მოცემულ ჩამონათვალში ზედმეტია კონრად ადენაუერი. როგორ აუხსნით მოსწავლეს, რა ნიშნითაა იგი ზედმეტი?

1. კონრად ადენაუერი
2. მათე დელუნე
3. აუგუსტო პინოჩეტი
4. ფრანსისკო ფრანკო

28. მოცემულ ჩამონათვალში ზედმეტია „შეზღუდული“. როგორ აუხსნით მოსწავლეს, რა ნიშნითაა იგი ზედმეტი?

1. ტრადიციული
2. შეზღუდული
3. მბრძანებლური
4. საბაზრო

29. მოცემულ ჩამონათვალში ზედმეტია „თეთრი ჯვარი წითელ ფონზე“ (№2). როგორ აუხსნით მოსწავლეს, რა ნიშნითაა იგი ზედმეტი?

1. წითელი ჯვარი თეთრ ფონზე
2. თეთრი ჯვარი წითელ ფონზე



3. წითელი ნახევარმთვარე თეთრ ფონზე
4. წითელი კრისტალი თეთრ ფონზე



VII. ამოცნობა/იდენტიფიცირება

ინსტრუქცია

ყურადღებით შეისწავლეთ დავალებებში მოცემული ტექსტი და რუკა; უპასუხეთ კითხვებს კონკრეტულად და ამომწურავად. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. დავალებების თითოეული კითხვა 1 ქულით ფასდება.

(5) 30. ყურადღებით გაეცანით ტექსტს „ტოტალიტარიზმის მსხვერპლთა ხსოვნის დღე“ და უპასუხეთ კითხვებს:

1989 წლის 23 აგვისტოს ბალტიისპირეთის სამი ქვეყნის მოქალაქეებმა შეკრეს 600 კილომეტრიანი ცოცხალი ჯაჭვი, ე.წ. „ბალტიის გზა“, ამით გამოხატეს თავისი დამოკიდებულება ტოტალიტარიზმის მიმართ და მთელს მსოფლიოს აჩვენეს თავისი სწრაფვა თავისუფლებისაკენ.

2009 წელს 23 აგვისტო ევროპის პარლამენტის და ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის მიერ გამოცხადდა ტოტალიტარული რეჟიმების მსხვერპლთა ხსოვნის დღედ.

საქართველო 2010 წელს პარლამენტის დადგენილებით შეუერთდა საერთაშორისო ორგანიზაციების გადაწყვეტილებას, რომლითაც გათანაბრდა ყველა დროის ყველაზე დანაშაულებრივი ორი ტოტალიტარული რეჟიმი.

23 აგვისტო უკავშირდება მნიშვნელოვან ისტორიულ თარიღს, რომელიც ადასტურებს, რომ გარკვეული პერიოდი, ეს რეჟიმები მოქმედებდნენ როგორც მოკავშირეები. ამ რეჟიმების დანაშაულთა მასშტაბი და სისატიკე არ ჩამოუვარდება ერთმანეთს და მათ ასეულმილიონობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირეს. ამ მსხვერპლთა შორისაა საქართველოს ასეულათასობით მოქალაქეც.

კითხვები:

30.1 რომელ ორ ტოტალიტარულ რეჟიმზეა საუბარი ტექსტში?

30.2 დაასახელეთ ხელშეკრულება, რომელსაც უკავშირდება თარიღი 23 აგვისტო.

30.3 რა იყო ამ ხელშეკრულების მთავარი არსი, რის გამოც ტოტალიტარიზმის მსხვერპლთა ხსოვნის დღე სწორედ ამ თარიღს დაუკავშირდა?

30.4 თქვენი აზრით, რატომაა ევროპის აღნიშნული ინიციატივა მნიშვნელოვანი?

30.5 რატომაა მნიშვნელოვანი ეს ინიციატივა ჩვენი ქვეყნისათვის?

(3) 31. რუკაზე ლურჯი ფერით გამოსახულია ცნობილი საერთაშორისო ორგანიზაციის წევრი ქვეყნები, ხოლო მწვანე ფერით - ამ ორგანიზაციის პარტნიორი ქვეყნები.



კითხვები:

31.1 დაასახელეთ ამ ორგანიზაციის სრული სახელი.

31.2 რომელ წელს დაარსდა ეს ორგანიზაცია?

31.3 აუხსენით მოსწავლეს, როგორ ამოიცანით ეს ორგანიზაცია.

VIII. მოსწავლის ნაშრომის შეფასება

ინსტრუქცია

დავალეზაში მოცემულია მოსწავლისათვის განკუთვნილი დავალეზა, მოსწავლის კონკრეტული ნაშრომი და შეფასების სქემა, რომლის მიხედვითაც უნდა შეფასდეს მოსწავლის ნაშრომი. ყურადღებით გაეცანით დავალეზის პირობას და შეაფასეთ მოსწავლის ნაშრომი მოცემული შეფასების კრიტერიუმების გათვალისწინებით. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. დავალეზის მაქსიმალური ქულაა 6.

(6) 32. გაეცანით მოსწავლის ნაშრომს და შეაფასეთ იგი:

I. მოსწავლისთვის მიცემული დავალეზა

გაკვეთილზე დემოკრატიული მმართველობის დადებითი და უარყოფითი მხარეების განხილვის შემდეგ მოსწავლეებს შესთავაზეს სადისკუსიო თემა: „არსებობს მოსაზრება, რომ დემოკრატია მართვის უნაკლო მოდელია“. მოსწავლეებმა უნდა დაასახელონ 2 არგუმენტი ამ მოსაზრების გასამტკიცებლად, ხოლო 2 არგუმენტი - ამ მოსაზრების საპირისპიროდ.

II. მოსწავლის მიერ შესრულებული დავალეზა

დემოკრატიის დადებითი მხარეა:

32.1 დემოკრატიული მმართველობისა და დემოკრატიული საზოგადოების წესდებების დროს ეკონომიკა თავისუფალია. სახელმწიფოს მხრიდან ზღვრის კონტროლი დასაძეგნია და სოციალდებამხლოდ კანონიერების ვაშელებში. ყველას ეძლევა მონაშეგნის თანაბარი შესაძლებლობა.

32.2 დემოკრატიული რეჟიმის დროს სუბიუფილად და უნაკლოდაა დაცული ადამიანის ყველგნები. ასევე სუბიუფილად ვათვალისწინებელი ყველას ინტეგრირება.

დემოკრატიის უარყოფითი მხარეა:

32.3 დემოკრატია უმრავლესობის ძაბვითი ძალაუფლებაა, დემოკრატიული მმართველობის დროს ყოველი ადამიანის უფლებები არ უნდა შეზღუდოს.

32.4 დემოკრატიის პირობებში უმრავლესობა იღებს გადაწყვეტილებას. უმრავლესობის მხარდაჭერა არ არის იდეალური, საყრდენი და უნაყოფო გადაწყვეტილების გაზიარება.

III. შეფასების სქემა

თითოეული არგუმენტი ფასდება 1 (ერთი) ან 0 (ნული) ქულით.

1 ქულა - მკაფიო არგუმენტი, ლოგიკური მსჯელობა, რომელიც არ შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას.

0 ქულა - მსჯელობა, რომელიც შეიცავს ფაქტობრივი შეცდომას, ნაწილობრივ არგუმენტირებული ან არალოგიკურია.

(4) 32.1-32.4 შეაფასეთ მოსწავლის ნაშრომი მოცემული შეფასების სქემის მიხედვით. რომელ ქულას დაუწერდით მოსწავლის თითოეულ არგუმენტს?

(2) 32.5-32.6 კიდევ რომელ მნიშვნელოვან არგუმენტებს შეახსენებდით მოსწავლეს, რომლებზეც მას ყურადღება არ გაუმახვილებია?


32.5. დასახელეთ დემოკრატიის ერთი დადებითი მხარე.

32.6. დასახელეთ დემოკრატიის ერთი უარყოფითი მხარე.

IX. სასწავლო პროცესის დაგეგმვა

მოცემული დავალებები სასწავლო პროცესის დაგეგმვასთანაა დაკავშირებული. ყურადღებით გაეცანით თითოეული დავალების პირობას. პასუხები გადაიტანეთ პასუხების ფურცელზე. პირველი დავალების მაქსიმალური ქულაა 2, ხოლო მეორე დავალება 5 ქულით ფასდება.

(2) 33. „მსოფლიო ღირებულებათა კვლევის“ მონაცემები (იხ. ცხრილი) მასწავლებელმა გამოიყენა, როგორც სასწავლო რესურსი თემისათვის „გენდერული სტერეოტიპები“ და სხვადასხვა სირთულის დავალებები დაგეგმა.




I სვეტში მოცემულია მასწავლებლის მიერ დაგეგმილი აქტივობები, ხოლო II სვეტში – აზროვნების სხვადასხვა დონე. შეუსაბამეთ კონკრეტული სასწავლო აქტივობა შესაბამის კოგნიტურ მიზანს.

I	II
<p>ა. გამოიკვლიეთ უფროსკლასელთა შეხედულება აღნიშნულ საკითხზე. არის თუ არა მათი შეხედულება დისკრიმინაციული? გააკრიტიკეთ ან გაამართლეთ იგი. თქვენი პირადი შეხედულება დაასაბუთეთ არგუმენტირებულად.</p> <p>ბ. ყურადღებით გაეცანით ცხრილს და თქვენი სიტყვებით გადმოეცით, რა ინფორმაციას გაწვდით იგი.</p> <p>გ. შეადარეთ ერთმანეთს სამი ქვეყნის მონაცემები. შეინიშნება თუ არა რაიმე ტენდენცია? იმსჯელეთ ამ ტენდენციის მიზეზებსა და შედეგებზე. შეადარეთ ტენდენცია საქართველოს კანონმდებლობას (ანიჭებს თუა არა იგი უპირატესობას რომელიმე სქესს?).</p>	<ol style="list-style-type: none"> 1. გაგება 2. გამოყენება 3. ანალიზი 4. შეფასება

(5) 34. ყურადღებით გაეცანით მოცემულ სასწავლო რესურსებს და უპასუხეთ კითხვებს:

სასწავლო რესურსი №1



1.1 „შენ კაცი არ მოგიკლავს, კაცისათვის არ მოგიპარავს, ერთის სიტყვით – რაც არ უნდა გექნა, არ გიქნია. ესეც კარგია: უარარაობას ეგა სჯობია.“

1.2. „მაგრამ ეხლა ეს უნდა გკითხო: რაც უნდა გექნა, ის კი გიქნია?“

„კაცია ადამიანი“?!

ილია ჭავჭავაძე

სასწავლო რესურსი №2

2.1. „ნუ იკითხავთ, რა შეუძლია გააკეთოს ქვეყანამ თქვენთვის; იკითხეთ, რა შეგიძლიათ გააკეთოთ ქვეყნისათვის.“


2.2. „ჩემო მეგობარო მოქალაქეებო მთელი მსოფლიოდან, ნუ იკითხავთ, რა შეუძლია გააკეთოს ჩემმა ქვეყანამ თქვენთვის, არამედ, ერთად რა შეგიძლიათ გავაკეთოთ კაცობრიობის თავისუფლებისათვის?“



ჯონ კენედის გამოსვლა ინაუგურაციაზე,

1961 წლის 20 იანვარი

სასწავლო რესურსი №3



„ადამიანი მოქმედებისათვის შეიქმნა და საკუთარი შესაძლებლობების დაძაბვით, ხელი უნდა შეუწყოს, თავისი და სხვების გარემო პირობების შეცვლას იმგვარად, რომ ამით საუკეთესოდ იქნეს უზრუნველყოფილი თითოეულის ბედნიერება.“

„მორალური სენტიმენტების თეორია“
ადამ სმითი

(1) 34.1 დაასახელეთ ერთი თემა, რომლის განხილვაცაა შესაძლებელი სამივე სასწავლო რესურსის გამოყენებით.

(1) 34.2 დაასაბუთეთ თემის შესაბამისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან. რა მიზანს ემსახურება შერჩეული თემის სწავლება?

(2) 34.3 განსაზღვრეთ გაკვეთილის მიზანი, რომელსაც დაგეგმავთ მოცემული 3 სასწავლო რესურსის გამოყენებით (კონკრეტულად რა ცოდნა და განწყობა/დამოკიდებულება უნდა შეიძინონ მოსწავლეებმა?).

(1) 34.4 საგაკვეთილო მიზნის შესაბამისად და №3 სასწავლო რესურსზე დაყრდნობით, რა საშინაო დავალებას მისცემდით მოსწავლეებს?

34.1	თემა	
34.2	შესაბამისობა სასწავლო გეგმასთან	თემის შესწავლის მიზანი:
34.3	საგაკვეთილო მიზანი	ცოდნა განწყობა/დამოკიდებულება
34.4	საშინაო დავალება	

სამოქალაქო განათლების ტესტის შეფასების სქემა

დავალება №	სწორი პასუხი	ქულა								
<i>I. დავალება არჩევითი პასუხით</i>										
1.	ბ	1								
2.	ბ	1								
3.	ა	1								
4.	ბ	1								
5.	ბ	1								
6.	დ	1								
7.	ბ	1								
8.	ა	1								
9.	ა	1								
10.	ბ	1								
11.	დ	1								
12.	ა	1								
13.	დ	1								
<i>II. შესაბამისობის დამყარება</i>										
14.	<table border="1" style="margin-left: auto; margin-right: auto;"> <tr> <td>I</td> <td>ა</td> <td>ბ</td> <td>გ</td> </tr> <tr> <td>II</td> <td>4</td> <td>1</td> <td>2</td> </tr> </table> <p>3 სწორი პასუხი – 2 ქ., 2 სწორი პასუხი – 1 ქ., 1 სწორი პასუხი – 0 ქ.</p>	I	ა	ბ	გ	II	4	1	2	მაქსიმალური 2
I	ა	ბ	გ							
II	4	1	2							
15.	<table border="1" style="margin-left: auto; margin-right: auto;"> <tr> <td>I</td> <td>ა</td> <td>ბ</td> <td>გ</td> </tr> <tr> <td>II</td> <td>2</td> <td>3</td> <td>4</td> </tr> </table> <p>3 სწორი პასუხი – 2 ქ., 2 სწორი პასუხი – 1 ქ., 1 სწორი პასუხი – 0 ქ.</p>	I	ა	ბ	გ	II	2	3	4	მაქსიმალური 2
I	ა	ბ	გ							
II	2	3	4							
16.	<table border="1" style="margin-left: auto; margin-right: auto;"> <tr> <td>I</td> <td>ა</td> <td>ბ</td> <td>გ</td> </tr> <tr> <td>II</td> <td>3</td> <td>1</td> <td>4</td> </tr> </table> <p>3 სწორი პასუხი – 2 ქ., 2 სწორი პასუხი – 1 ქ., 1 სწორი პასუხი – 0 ქ.</p>	I	ა	ბ	გ	II	3	1	4	მაქსიმალური 2
I	ა	ბ	გ							
II	3	1	4							

17.	<table border="1" data-bbox="492 186 915 344"> <tr> <td>I</td> <td>ა</td> <td>ბ</td> <td>გ</td> </tr> <tr> <td>II</td> <td>2</td> <td>4</td> <td>1</td> </tr> </table> <p>3 სწორი პასუხი – 2 ქ., 2 სწორი პასუხი – 1 ქ., 1 სწორი პასუხი – 0 ქ.</p>	I	ა	ბ	გ	II	2	4	1	მაქსიმალური 2
I	ა	ბ	გ							
II	2	4	1							
III. თანმიმდევრობის დადგენა										
18.	<table border="1" data-bbox="264 533 591 615"> <tr> <td>3</td> <td>2</td> <td>1</td> <td>4*</td> </tr> </table> <p>*ბოლო პასუხი მითითებულია</p>	3	2	1	4*	1				
3	2	1	4*							
19.	<p>*ბოლო პასუხი მითითებულია</p> <table border="1" data-bbox="264 688 591 770"> <tr> <td>2</td> <td>4</td> <td>3</td> <td>1*</td> </tr> </table>	2	4	3	1*	1				
2	4	3	1*							
20.	<table border="1" data-bbox="264 816 591 898"> <tr> <td>4*</td> <td>1</td> <td>3</td> <td>2</td> </tr> </table> <p>*პირველი პასუხი მითითებულია</p>	4*	1	3	2	1				
4*	1	3	2							
IV. დაგალება ღია დაბოლოებით										
21.	<p>განსხვავების ჩვენება 1ქ.</p> <p>ნიმუში: ადამიანის უფლებები არის ადამიანის კანონით დაცული შესაძლებლობა, მოსთხოვოს სახელმწიფოს მისთვის მინიჭებული უფლებების დაკმაყოფილება (მაგ.: საარჩევნო უფლება, განათლების უფლება და ა.შ.). ხოლო თავისუფლებები გულისხმობს, მოითხოვოს სახელმწიფოსგან, თავი შეიკავოს პიროვნების ამ უფლებების რეალიზაციაში ჩარევისაგან (მაგ. აზრის გამოხატვის თავისუფლება).</p>	1								
22.	<p>22.1 სრულადაა შევსებული სქემა ანუ დასახელებულია სამივე ძირითადი პრინციპი: (საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი) 1 ქ.</p> <p>22.2 თითო სწორად დასახელებული მიზეზი 1 ქულა. მაქს. 3ქ.</p> <p>ნიმუში:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. თუ საზოგადოებას არ ექნება მთავრობის არჩევისა და გადარჩევის შესაძლებლობა, მთავრობა არ იზრუნებს საზოგადოების ინტერესების დაცვაზე და შეიძლება, ბოროტადაც გამოიყენოს საკუთარი უფლებები; 2. საზოგადოების აზრი სხვადასხვა საკითხებზე იცვლება და ეს უნდა აისახოს ხელისუფლების შემადგენლობაში; 3. სხვა ადამიანებსაც მიეცეთ ხელისუფლებაში ყოფნის საშუალება. 	მაქსიმალური 4 ქ.								

23.	<p>23.1 სწორად შევსებული სქემა 1.ქ 23.2 მკაფიოდ ჩამოყალიბებული სწორი განმარტება, რომელიც არ შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას 1.ქ</p> <p><u>ნიმუში:</u> 23.1 გარემო; 23.2 მდგრადი განვითარება გულისხმობს პირობების შექმნას გრძელვადიანი ეკონომიკური განვითარებისათვის გარემოს დაცვის საკითხების მაქსიმალური გათვალისწინებით. მდგრადი განვითარების კონცეფცია გულისხმობს ეკონომიკური ზრდის ისეთ ფორმას, რომელიც უზრუნველყოფს საზოგადოების კეთილდღეობას მოკლე, საშუალო და, რაც მთავარია, ხანგრძლივი ვადით. იგი ეფუძნება პრინციპს, რომლის თანახმად, დღევანდელი მოთხოვნილებები უნდა დაკმაყოფილდეს ისე, რომ საფრთხე არ შეექმნას მომავალ თაობებს.</p>	მაქსიმალური 2ქ.																								
V. შეცდომის აღმოჩენა																										
24.	<table border="1" data-bbox="350 772 1057 1276"> <thead> <tr> <th colspan="2">შეცდომა</th> <th>უნდა იყოს</th> </tr> </thead> <tbody> <tr> <td>1.</td> <td>XIII საუკუნე</td> <td>XII საუკუნე</td> </tr> <tr> <td>2.</td> <td>საფრანგეთი</td> <td>ინგლისი</td> </tr> <tr> <td>3.</td> <td>აკაკი წერეთელი</td> <td>ილია ჭავჭავაძე</td> </tr> <tr> <td>4.</td> <td>1919 წელი</td> <td>1921 წელი</td> </tr> <tr> <td>5.</td> <td>1991 წელი</td> <td>1990 წელი</td> </tr> <tr> <td>6.</td> <td>პროპორციული</td> <td>შერეული</td> </tr> <tr> <td>7.</td> <td>ხუთი წლით</td> <td>ოთხი წლით</td> </tr> </tbody> </table>	შეცდომა		უნდა იყოს	1.	XIII საუკუნე	XII საუკუნე	2.	საფრანგეთი	ინგლისი	3.	აკაკი წერეთელი	ილია ჭავჭავაძე	4.	1919 წელი	1921 წელი	5.	1991 წელი	1990 წელი	6.	პროპორციული	შერეული	7.	ხუთი წლით	ოთხი წლით	<p>ყოველი აღმოჩენილი და შესწორებული შეცდომა – წყვილი 1ქ.</p> <p>მაქსიმალური 7</p>
შეცდომა		უნდა იყოს																								
1.	XIII საუკუნე	XII საუკუნე																								
2.	საფრანგეთი	ინგლისი																								
3.	აკაკი წერეთელი	ილია ჭავჭავაძე																								
4.	1919 წელი	1921 წელი																								
5.	1991 წელი	1990 წელი																								
6.	პროპორციული	შერეული																								
7.	ხუთი წლით	ოთხი წლით																								
25.	<table border="1" data-bbox="345 1371 1062 1875"> <thead> <tr> <th colspan="2">შეცდომა</th> <th>უნდა იყოს</th> </tr> </thead> <tbody> <tr> <td>1.</td> <td>ინდირა განდი</td> <td>მაჰათმა განდი</td> </tr> <tr> <td>2.</td> <td>ტიბეტი</td> <td>ინდოეთი</td> </tr> <tr> <td>3.</td> <td>XIX საუკუნე</td> <td>XX საუკუნე</td> </tr> <tr> <td>4.</td> <td>სქესობრივი</td> <td>რასობრივი</td> </tr> <tr> <td>5.</td> <td>ამერიკის</td> <td>ინგლისის</td> </tr> <tr> <td>6.</td> <td>„დიდი გული“</td> <td>„დიდი სული“</td> </tr> <tr> <td>7.</td> <td>არამალადობრივი</td> <td>მალადობრივი</td> </tr> </tbody> </table>	შეცდომა		უნდა იყოს	1.	ინდირა განდი	მაჰათმა განდი	2.	ტიბეტი	ინდოეთი	3.	XIX საუკუნე	XX საუკუნე	4.	სქესობრივი	რასობრივი	5.	ამერიკის	ინგლისის	6.	„დიდი გული“	„დიდი სული“	7.	არამალადობრივი	მალადობრივი	<p>ყოველი აღმოჩენილი და შესწორებული შეცდომა – წყვილი 1ქ.</p> <p>მაქსიმალური 7</p>
შეცდომა		უნდა იყოს																								
1.	ინდირა განდი	მაჰათმა განდი																								
2.	ტიბეტი	ინდოეთი																								
3.	XIX საუკუნე	XX საუკუნე																								
4.	სქესობრივი	რასობრივი																								
5.	ამერიკის	ინგლისის																								
6.	„დიდი გული“	„დიდი სული“																								
7.	არამალადობრივი	მალადობრივი																								

	VI. ზედმეტის ამოცნობა	
26.	<p>სამი ერთეულისათვის დამახასიათებელი იმ საერთო ძირითადი ნიშნის ჩვენება, რომელიც არ ახასიათებს ზედმეტს.</p> <p><u>ნიმუში:</u> ეკონომიკის სამინისტრო აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოა, ხოლო სახალხო დამცველი, კონტროლის პალატა და ეროვნული ბანკი – დამოუკიდებელი სახელწიფო ორგანოებია და არ ეკუთვნის ხელისუფლების არცერთ შტოს.</p>	1
27.	<p>სამი ერთეულისათვის დამახასიათებელი იმ საერთო ძირითადი ნიშნის ჩვენება, რომელიც არ ახასიათებს ზედმეტს.</p> <p><u>ნიმუში:</u> მათ ძედუნი, აუგუსტო პინოჩეტი, ფრანსისკო ფრანკო დიქტატორები იყვნენ, ხოლო კონრად ადენაუერი კანცლერი, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა გერმანიის სამართლებრივ, სოციალურ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებას.</p>	1
28.	<p>სამი ერთეულისათვის დამახასიათებელი იმ საერთო ძირითადი ნიშნის ჩვენება, რომელიც არ ახასიათებს ზედმეტს.</p> <p><u>ნიმუში:</u> ტრადიციული, მბრძანებლური, საბაზრო - ეკონომიკური სისტემის სახეებია (ტიპებია). ეკონომიკური სისტემა კი არის წესი (მიდგომა), რომელსაც ქვეყანა იყენებს შეზღუდულობის პრობლემის გადასაჭრელად.</p>	1
29.	<p>სამი ერთეულისათვის დამახასიათებელი იმ საერთო ძირითადი ნიშნის ჩვენება, რომელიც არ ახასიათებს ზედმეტს.</p> <p><u>ნიმუში:</u> წითელი ჯვარი თეთრ ფონზე, წითელი ნახევარმთვარე თეთრ ფონზე, წითელი კრისტალი თეთრ ფონზე – წითელი ჯვრისა და ნახევარმთვარის საერთაშორისო მოძრაობის ემბლემაა, ხოლო თეთრი ჯვარი წითელ ფონზე კი შვეიცარიის დროშაა.</p>	1
30.	VII. ამოცნობა (ანალიზი)	
	<p>30.1 ნაციზმი (გერმანია) და კომუნიზმი (საბჭოთა კავშირი). ორივე რეჟიმის დასახელება 1 ქულა</p> <p>30.2 1939 წლის ე. წ. რიბენტროპ-მოლოტოვის თავდაუსხმელობის პაქტი. 1 ქულა</p> <p>30.3 საბჭოთა კავშირმა და ნაცისტურმა გერმანიამ პაქტის ხელმოწერით გავლენის სფეროებად დაინაწილა ევროპა. ეს თარიღი უკავშირდება ყველაზე სისხლისმღვრელ ომს კაცობრიობის ისტორიაში; 1 ქულა</p>	მაქსიმალური 5

	<p>30.4 დასახელებულია მინიმუმ ერთი სწორი მოსაზრება ინიციატივის მნიშვნელობის შესახებ - 1 ქულა.</p> <p><u>ნიმუში:</u> მნიშვნელოვანია, რომ ტოტალიტარული რეჟიმების მიერ ჩადენილ დანაშაულებს მიეცეს როგორც სამართლებრივი და ისტორიული, ისე პოლიტიკური შეფასება, რათა საბოლოოდ დასრულდეს ამ დანაშაულთა ყოველგვარი გამართლება; წარსულის მიუკერძოებელი შეფასება მნიშვნელოვანია მომავალში მსგავს დანაშაულთა თავიდან ასაცილებლად. 1 ქულა</p> <p>30.5 დასახელებულია მინიმუმ ერთი სწორი მოსაზრება ინიციატივის მნიშვნელობის შესახებ - 1 ქულა.</p> <p><u>ნიმუში:</u> საქართველო 70 წელი იმყოფებოდა ტოტალიტარიზმის პირობებში. მძიმე მემკვიდრეობა კვლავ ზემოქმედებს აწმყოზე. მნიშვნელოვანია იმის გააზრება, რომ კომუნიზმი ისეთივე დანაშაულებრივი რეჟიმია, როგორც ფაშიზმი. ეს ინიციატივა ხელს უწყობს „განსაბჭოებას“ წარსულის შეფასების გზით. 1 ქულა</p>													
<p>31.</p>	<p>თუ სწორად არ არის დასახელებული ორგანიზაცია 31.2 და 31.3 არ სწორდება</p> <p>31.1 ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია (ნატო) – 1 ქულა</p> <p>31.2 1949 წელი –1 ქულა</p> <p>31.3 განმასხვავებელი ნიშნების ჩვენება – 1 ქულა</p> <p><u>ნიმუში:</u> წევრი ქვეყნები ჩრდილოეთ ამერიკისა და ევროპის სახელმწიფოებია, არ მოიცავს მსოფლიოს, სცდება ევროპას, თურქეთი წევრია, შვეიცარია, შვედეთი, რუსეთი არ არის წევრი ქვეყანა.</p>	<p>მაქსიმალური 3 ქ</p>												
VIII. შეფასება														
<p>32.</p>	<table border="1" data-bbox="350 1373 760 1562"> <tr> <td>32.1</td> <td>32.2</td> <td>32.3</td> <td>32.4</td> </tr> <tr> <td>1</td> <td>0</td> <td>0</td> <td>1</td> </tr> <tr> <td>1ქ</td> <td>1ქ</td> <td>1ქ</td> <td>1ქ</td> </tr> </table> <p>32.1-32.4 ყოველი სწორად შეფასებული არგუმენტი 1ქ. 32.5 მკაფიო არგუმენტი, ლოგიკური პასუხი, რომელიც არ შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას 1 ქ. 32.6 მკაფიო არგუმენტი, ლოგიკური პასუხი, რომელიც არ შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას 1 ქ. დავალების პირობაში მოცემული არგუმენტების პერიფრაზი შეფასდება 0 ქულით.</p>	32.1	32.2	32.3	32.4	1	0	0	1	1ქ	1ქ	1ქ	1ქ	<p>მაქსიმალური 6</p>
32.1	32.2	32.3	32.4											
1	0	0	1											
1ქ	1ქ	1ქ	1ქ											

IX. დაგეგმვა										
33.	<table border="1" style="margin-left: auto; margin-right: auto;"> <tr> <td style="text-align: center;">I</td> <td style="text-align: center;">ა</td> <td style="text-align: center;">ბ</td> <td style="text-align: center;">გ</td> </tr> <tr> <td style="text-align: center;">II</td> <td style="text-align: center;">4</td> <td style="text-align: center;">1</td> <td style="text-align: center;">3</td> </tr> </table> <p>სწორი პასუხების რაოდენობას მინუს 1 ქულა</p>	I	ა	ბ	გ	II	4	1	3	მაქსიმალური 2
I	ა	ბ	გ							
II	4	1	3							
34.	<p>34.1 კონკრეტული თემა, რომლის განხილვაც შესაძლებელია დავალებაში მოცემულ სასწავლო რესურსებზე დაყრდნობით - 1ქ.</p> <p>34.2 თემის სწავლების მიზანი შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მიზნებს - 1 ქ.</p> <p>34.3 დასახელებულია, რა ცოდნის შექმნაა შესაძლებელი მოცემული სასწავლო რესურსების გამოყენებით დაგეგმილ გაკვეთილზე. - 1ქ.</p> <p>დასახელებულია თუ რა განწყობა/დამოკიდებულება სურთ შეიძინონ მოსწავლეებმა განსახილველი საკითხისადმი. -1.ქ</p> <p>34.4 ადეკვატური, ლოგიკური დავალება, რომელიც შეესაბამება გაკვეთილის მიზანს - 1ქ.</p>	მაქსიმალური 5								
ტესტის მაქსიმალური ქულა		70								